

სს ხაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შინაარსი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	2-3
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8-26
1. კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა	8
2. შესაბამისობის განაცხადი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	9
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები	16
5. შემოსავალი	17
6. თვითღირებულება	17
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
8. ფული და ფულის ექვივალენტები	18
9. სასაქონლო მატერიალური მარაგები	18
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
11. საინვესტიციო ქონება	19
12. სხვა აქტივები	19
13. მიღებული სესხები	20
14. სააქციო კაპიტალი	20
15. პირობითი ვალდებულებები	21
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
17. რეალური ღირებულების განსაზღვრა	22
18. ფინანსური ინსტრუმენტები	23
19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	25
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს სს „ზაშურის მინის ტარა“-ს („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

დავითი ბეჟაშვილი

დირექტორი

სს ზაშურის მინის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021

ნინო ფურცელაძე

მთავარი ბუღალტერი

სს „ხაშურის მინის ტარა“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს სს „ხაშურის მინის ტარა“-ს („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:




დავით ბეჟაშვილი

დირექტორი

სს „ხაშურის მინის ტარა“

თარიღი: 20 მაისი, 2021



ნინო გურგენიძე
მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ხაშურის მინის ტარა“-ს მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს სს „ხაშურის მინის ტარა“-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრებაზე უარის გამოთქმის საფუძველი

კომპანიის დაფინანსება დამოკიდებულია დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე და დამფუძნებელთა დამატებით დაფინანსებაზე. კომპანიამ ვერ შეძლო დაფინანსების სხვა საშუალებების გამოძებნა, მათ შორის აქტივების საკმარისი რაოდენობით რეალიზაცია. წლის ბოლოსთვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის აქტივებს და წლების განმავლობაში კომპანია განიცდის მნიშვნელოვან ზარალს. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით საკმარისი საფუძვლის არსებობაზე. კერძოდ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი რწმუნება რომ დაკავშირებული მხარეები გააგრძელებენ კომპანიის დაფინანსებას და ასევე ვერ მოვიპოვეთ კომპანიის მიერ აქტივების რეალიზაციასთან დაკავშირებით კონკრეტული გაწერილი გეგმა იმ შემთხვევაში თუ დაკავშირებული მხარეებისგან შეწყდება დაფინანსება და მოთხოვნილ იქნება წლების განმავლობაში დაგროვილი სასესხო ვალდებულებების დაფარვა. აღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, მომავალში საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებდამ საწარმომ. ასევე, სამეურნეო სუბიექტის უნარის შესახებაც, რომ ის შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას იმ შემთხვევაში თუ დაკავშირებული მხარეებისგან შეწყდება დაფინანსება. თანდართული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ასევე არ არის წარმოდგენილი დაკავშირებული მხარეებისგან დაფინანსების გაგრძელებაზე მენეჯმენტის მსჯელობების და ამ დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში აქტივების რეალიზაციაზე მენეჯმენტის მიერ გაწერილი გეგმის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია.

მენეჯმენტის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - 'მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი' - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ხელმოწერის სარეგისტრაციო ნომერი აუდიტორთა რეესტრში SARAS-A-865041
ფირმის სარეგისტრაციო ნომერი აუდიტორთა რეესტრში SARAS-F-320544

თარიღი: მაისი 20, 2021
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	29,831	5,550
თვითღირებულება	6	(44,309)	(5,550)
საერთო მოგება		(14,478)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(299,885)	(298,198)
მარაგების ჩამოწერისა და დარეზერვების ხარჯი	9	(54,832)	(2,650)
ფინანსური აქტივის გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება	10	(58,217)	-
საინვესტიციო ქონების გაუფასურების ზარალი	11	(1,391,225)	-
სხვა შემოსავალი/ხარჯები		(26,101)	(34,733)
საოპერაციო ზარალი		(1,844,738)	(335,581)
საპროცენტო ხარჯი		(225,434)	(204,537)
ზარალი მოგების გადასახადამდე		(2,070,172)	(540,118)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის წმინდა ზარალი		(2,070,172)	(540,118)
მიმდინარე წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(2,070,172)	(540,118)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 20 მაისს დადასტურებული და ხელმოწერილია:

დავითი ბეჟაშვილი

დირექტორი

სს ზაშურის მინის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021

ნინო ფურცელაძე

მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	29,831	5,550
თვითღირებულება	6	(44,309)	(5,550)
საერთო მოგება		(14,478)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(299,885)	(298,198)
მარაგების ჩამოწერისა და დარეზერვების ხარჯი	9	(54,832)	(2,650)
ფინანსური აქტივის გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება	10	(58,217)	-
საინვესტიციო ქონების გაუფასურების ზარალი	11	(1,391,225)	-
სხვა შემოსავალი/ხარჯები		(26,101)	(34,733)
საოპერაციო ზარალი		(1,844,738)	(335,581)
საპროცენტო ხარჯი		(225,434)	(204,537)
ზარალი მოგების გადასახადამდე		(2,070,172)	(540,118)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის წმინდა ზარალი		(2,070,172)	(540,118)
მიმდინარე წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(2,070,172)	(540,118)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 20 მაისს დადასტურებული და ხელმოწერილია:



დავით ბეჭაშვილი

დირექტორი

სს ზაშურის მიწის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021



ნინო გურგენაძე

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	გადაანგარიშებული	
		31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	3,892	3,098
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	-	56,443
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	2,990	58,510
საგადასახადო აქტივები		9,934	10,383
საინვესტიციო ქონება	11	1,147,844	2,748,842
სხვა აქტივები	12	575,436	575,436
სულ აქტივები		1,740,096	3,452,712
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		373	717
მიღებული სესხები	13	2,957,128	2,599,228
სულ ვალდებულებები		2,957,501	2,599,945
კაპიტალი და რეზერვები			
სააქციო კაპიტალი	14	3,861,792	3,861,792
დაგროვილი ზარალი		(5,079,197)	(3,009,025)
სულ კაპიტალი		(1,217,405)	852,767
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,740,096	3,452,712

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 20 მაისს დადასტურებული და ხელმოწერილია:

დავითი ბეჟაშვილი

დირექტორი

სს ზაშურის მინის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021

ნინო ფურცელაძე

მთავარი ბუღალტერი

სს ხაშურის მინის ტარა
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-20	გადაანგარიშებული 31-დეკ-19
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	3,892	3,098
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	-	56,443
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	2,990	58,510
საგადასახადო აქტივები		9,934	10,383
საინვესტიციო ქონება	11	1,147,844	2,748,842
სხვა აქტივები	12	575,436	575,436
სულ აქტივები		1,740,096	3,452,712
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		373	717
მიღებული სესხები	13	2,957,128	2,599,228
სულ ვალდებულებები		2,957,501	2,599,945
კაპიტალი და რეზერვები			
სააქციო კაპიტალი	14	3,861,792	3,861,792
დაგროვილი ზარალი		(5,079,197)	(3,009,025)
სულ კაპიტალი		(1,217,405)	852,767
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,740,096	3,452,712


ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 20 მაისს დადასტურებული და ხელმოწერილია:


დავით ბეჟაშვილი

დირექტორი

სს ხაშურის მინის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021


ნინო გურგენიძე
მთავარი ბუღალტერი

სს ზაშურის მინის ტარა
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(2,468,907)	1,392,885
წმინდა ზარალი 2019 წლისათვის	-	(540,118)	(540,118)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(3,009,025)	852,767
წმინდა ზარალი 2020 წლისათვის	-	(2,070,172)	(2,070,172)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(5,079,197)	(1,217,405)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 20 მაისს დადასტურებული და ხელმოწერილია:

დავითი ბეჟაშვილი

დირექტორი

სს ზაშურის მინის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021

ნინო ფურცელაძე

მთავარი ბუღალტერი

სს ზაშურის მინის ტარა
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(2,468,907)	1,392,885
წმინდა ზარალი 2019 წლისათვის	-	(540,118)	(540,118)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(3,009,025)	852,767
წმინდა ზარალი 2020 წლისათვის	-	(2,070,172)	(2,070,172)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(5,079,197)	(1,217,405)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 20 მაისს დადასტურებული და ხელმოწერილია:




დავითი ბეჟაშვილი

დირექტორი

სს ზაშურის მინის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021



ნინო ფურცელაძე
მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020	2019
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	32,400	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(108,950)	(77,002)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(29,537)	(45,089)
გადახდილი გადასახადები	(25,585)	(10,537)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(131,672)	(132,628)
სხვა აქტივების რეალიზაცია	-	5,550
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	5,550
მიღებული სესხები	132,466	126,723
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	132,466	126,723
საკუროსო სხვაობის შედეგი	-	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა / (შემცირება)	794	(355)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,098	3,453
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,892	3,098

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 20 მაისს დადასტურებული და ხელმოწერილია:

დავითი ბეჟაშვილი

დირექტორი

სს ზაშურის მინის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021

ნინო ფურცელაძე

მთავარი ბუღალტერი

სს ზაშურის მიწის ტარა
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020	2019
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	32,400	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(108,950)	(77,002)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(29,537)	(45,089)
გადახდილი გადასახადები	(25,585)	(10,537)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(131,672)	(132,628)
სხვა აქტივების რეალიზაცია	-	5,550
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	5,550
მიღებული სესხები	132,466	126,723
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	132,466	126,723
საკუროს სხვაობის შედეგი	-	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა / (შემცირება)	794	(355)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,098	3,453
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,892	3,098

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 20 მაისს დადასტურებული და ხელმოწერილია:




დავით ბეჟაშვილი

დირექტორი

სს ზაშურის მიწის ტარა

თარიღი: 20 მაისი, 2021



ნინო გურგენიძე

მთავარი ბუღალტერი

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

1. კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს "ზაშურის მინის ტარა"-ს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას.

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 1966 წელს, როგორც რეგიონის უმსხვილესმა მინის ტარის მწარმოებელმა საწარმომ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1996 წელს საწარმო გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი 243855734. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ზაშური, იმერეთის გზატკეცილი #2.

ამჟამად კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული აქტივების (მიწა, შენობა-ნაგებობები, სხვადასხვა მოწყობილობები და დანადგარები) შენახვა და მოვლა-პატრონობა მათი შემდგომი, სარგისი რეალიზაციისთვის.

2016 წლის 29 დეკემბერს "Gardabani Holdings PP B.V." გახდა სს "ზაშურის მინის ტარას" 1,995,001 ჩვეულებრივი აქტივების მესაკუთრე, რაც მთლიანი აქტივების 72.759%-ს წარმოადგენს, ხოლო სახელმწიფოს საკუთრებაშია აქტივების 23.093%.

კომპანიის მთავარი აქციონერის ("Gardabani Holdings PP B.V.") საბოლოო მაკონტროლებელი ბენეფიციარი არის ბატონი დავით ბეჟუაშვილი.

სს „ზაშურის მინის ტარა“-ს აქციონერები არიან:

აქციონერი	31.12.2020	31.12.2019
Gardabani Holdings PP B.V.	72.759%	72.759%
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	23.093%	23.093%
სხვა აქციონერები (1,890 აქციონერი)	4.148%	4.148%
	100.00%	100.00%

2. შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად („ფაისკ“).

2020 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

2.1 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

- ბისნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3-ში;
- არსებითობის განმარტება - შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში;
- შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;
- საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 7, ფასს 9-სა და ბასს 39-ში.

ხელმძღვანელობამ არ გამოიყენა შემდეგი ახალი და შეცვლილი ფასს-ები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2. შესაბამისობის განაცხადი (გაგრძელება)

2.2 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

- სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17¹;
- ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი - შესწორებები ბასს 1-ში;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე - შესწორებები ბასს 16-ში;
- მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებში - შესწორებები ფასს 3-ში;
- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულებს ღირებულება - შესწორებები ბასს 37-ში;
- 2018-2020 წლის ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
- აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში²;
- საპროცენტო განაკვეთის ბენეფიციარის რეფორმა - შესწორებები ფასს 4, ფასს 7, ფასს 9, ფასს 16-სა და ბასს 39-ში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის გამოყენებით, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

¹ ძალაშია წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ნებადართულია მანამდე გამოყენება.

² ძალაშია წლიურ პერიოდებში, რომლის დაწყების თარიღი უნდა განისაზღვროს, ნებადართულია მანამდე გამოყენება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტა (გაგრძელება)

ფულადი სახსრების საკუროს სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ლარი /1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი /1 ევრო	4.0233	3.2095

გადასახადები

მოგების გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით განაწილდებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ კომპანიაში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება კომპანიაში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგები

მარაგები არის აქტივები, რომლებიც:

ა) საქმიანობის ნორმალურ პირობებში გასაყიდადაა განკუთვნილი;

ბ) იმყოფებიან წარმოების პროცესში;

გ) ან წარმოადგენენ წარმოების პროცესში გამოსაყენებელ ნედლეულსა და მასალას.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგები აღირიცხება ინდივიდუალური თვითღირებულების მეთოდით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ისეთი ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ რომელსაც გააჩნია შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. შეფასებული სამართლიანი/რეალური ღირებულება განხილულია, როგორც პირობითი საწყისი ღირებულება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ცვეთის თანხით და გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. საინვესტიციო ქონების მომსახურების ვადა განსაზღვრულია 10-15 წლით.

სხვა აქტივები

სხვა აქტივები შედგება ქალაქ ზაშურში ქარხნის ტერიტორიაზე სსრ კავშირის დროს ექსპლოატაციაში შესული მანქანა-დანადგარებისაგან და სხვადასხვა მოწყობილობებისგან, რომელთა მიმდინარე მდგომარეობა გაუმართავია.

სხვა აქტივები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღირიცხული იყო გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივების ჯგუფში, თუმცა მენეჯმენტმა ვერ შეძლო მათი რეალიზაცია და იგი გადაკლასიფიცირდა სხვა აქტივებში შესაბამისი ღირებულებით, რომელიც 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრული იყო დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები, სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოგება აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოღინებაზე.

გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა მისი თვითღირებულების ქვემოთ, ითვლება გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორცაა დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსულ გამოცდილებას გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, 60 დღიანი საშუალო საკრედიტო პერიოდზე მეტით დაგვიანებული გადახდების რიცხვის ზრდას, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების დაკვირვებად ცვლილებებს, რომლებიც შესაბამისობაშია მოთხოვნებზე არსებულ დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარებული ოდენობა წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო უკუგების განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ამგვარი გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდებში არ აღდგება.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების დანაკარგები პირდაპირ აკლდება, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა. ამ შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით. როდესაც სავაჭრო მოთხოვნის ამოღება შეუძლებლად ითვლება, იგი ჩამოიწერება ანარიცხების ანგარიშის გამოყენებით. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება ანარიცხების ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტისას (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის წინა საბალანსო ღირებულებას ანაწილებს კვლავაც აღიარებულ ნაწილსა და აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილს შორის გადაცემის დღეს ამ ნაწილების ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების გათვალისწინებით. სხვაობა, ერთი მხრივ, აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, ამავე ნაწილში მიღებული ანაზღაურებისა და მასზე მიკუთვნებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კუმულატიური მოგებასა თუ ზარალის ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულატიური მოგება ან ზარალი აღიარება შენარჩუნებულ და აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილებს შორის ნაწილდება მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შესადარის ინფორმაცია

შესადარის ინფორმაცია ასევე გადანაგარიშებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის.

გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	575,436	(575,436)	-
სხვა აქტივები	-	575,436	575,436
საერთო გავლენა მთლიან აქტივებზე	575,436	-	575,436

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები გადაკლასიფიცირებულია სხვა აქტივებად გამომდინარე იქიდან, რომ მენეჯმენტმა ვერ შეძლო მათი რეალიზაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში არასაკმარისად გაწერილი რეალიზაციის გეგმის გამო.

ასევე კომპანიამ გადაწვიტა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენა მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ დაეყო როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3-ში, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

4. კრიტიკული საადრიცხო შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, გადახდების დეფოლტი ან გადახდისუნარიობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთხოვნა პოტენციურად გაუფასურებულია. თუ კლიენტის საკრედიტო ხარისხი გაუარესდა ან რეალური დეფოლტი უფრო მაღალია შეფასებულ ოდენობაზე, რეალური შედეგები შეფასებულისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

საინვესტიციო ქონების მომსახურეობის ვადა

საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდიწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ექვექვე დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. თუმცა, კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია კომპანიისათვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა

5. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი მოიცავს აქტივების (მეორადი აგური და ჯართი) რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც 2020 წლისთვის შეადგენს 29,831 ლარს (2019 წელი: 5,550 ლარი).

6. თვითღირებულება

თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული აქტივების (მეორადი აგური და ჯართი) ღირებულებას, რომელიც 2020 წელს შეადგენს 44,309 ლარს (2019 წელი: 5,550 ლარი).

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	174,373	179,494
დაცვის მომსახურების ხარჯი	68,136	48,641
ხელფასის ხარჯი	35,541	55,976
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2,611	2,046
კომუნალურების ხარჯი (წყალმომარაგების)	5,713	5,267
საკონსულტაციო	4,302	3,429
კომუნიკაციის ხარჯი	2,631	2,678
სხვა ხარჯები	6,578	667
სულ	299,885	298,198

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

8. ფული და ფულის ექვივალენტები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

	31/12/2020	31/12/2019
ნაღდი ფული სალაროში	-	174
ფული ბანკში	3,892	2,924
სულ	3,892	3,098

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31/12/2020	31/12/2019
ნედლეული და მასალები	45,730	47,340
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	9,102	9,103
გამოკლებული მარაგების რეზერვი	(54,832)	-
სულ	-	56,443

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს:

	31/12/2020	31/12/2019
სავაჭრო მოთხოვნები	60,693	57,893
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	324	427
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	190	190
მინუს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი	(58,217)	-
სულ	2,990	58,510

31-დეკ-20**ფინანსური აქტივის გაუფასურების ანარიცხი წლის დასაწყისში****-**

პერიოდის განმავლობაში ფინანსური აქტივის გაუფასურების ანარიცხის ზრდა

58,217

ფინანსური აქტივის გაუფასურების ანარიცხი წლის ბოლოს**58,217**

სს ხაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

11. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს ქალაქ ხაშურში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 14 ჰა მიწას, დაუმთავრებელი ქარხნის შენობას და სხვა დაკავშირებულ შენობა-ნაგებობებს.

საინვესტიციო ქონება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	მიწა	შენობები	ნაგებობები	სულ
ღირებულება				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,500,000	871,000	913,000	3,284,000
დამატებები/(ჩამოწერები)	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,500,000	871,000	913,000	3,284,000
დამატებები/(ჩამოწერები)	-	(27,000)	(8,400)	(35,400)
გაუფასურება	(937,480)	(228,018)	(600,535)	(1,766,033)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	562,520	615,982	304,065	1,482,567
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(174,200)	(182,350)	(356,550)
პერიოდის ცვეთა	-	(87,100)	(91,508)	(178,608)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(261,300)	(273,858)	(535,158)
პერიოდის ცვეთა	-	(84,163)	(90,210)	(174,373)
გაუფასურება	-	108,140	266,668	374,808
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(237,323)	(97,400)	(334,723)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,500,000	609,700	639,142	2,748,842
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	562,520	378,659	206,665	1,147,844

საინვესტიციო ქონება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებულია სსიპ სამხარაულის ეროვნული ბიუროს ექსპერტების მიერ. შეფასების შედეგად მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა 562,520 ლარის ოდენობით, ხოლო შენობა ნაგებობები 4,091,016 ლარის ოდენობით და შიდა რკინიგზის საქარხნო ხაზი 450,000 ლარის ოდენობით.

მიწის ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მეთოდის გამოყენებით, ხოლო შენობა ნაგებობების ღირებულება შეფასებულია დანახარჯების მეთოდით.

ხელმძღვანელობის განმარტებით და ვარაუდით, 2020 წლის განმავლობაში მიწის და ზოგიერთი აქტივის გაუფასურების საფუძველია უძრავი ქონების ბაზარზე კოვიდ - 19 -ით გამოწვეული ნეგატიური შედეგების ზემოქმედება.

12. სხვა აქტივები

სხვა აქტივები შედგება ქ. ხაშურში ქარხნის ტერიტორიაზე სსრ კავშირის დროს ექსპლოატაციაში შესული მოძველებული მანქანა-დანადგარებისაგან და სხვადასხვა მოწყობილობებისგან, რომელთა მიმდინარე მდგომარეობა გაუმართავია და მათ მწყობრში მოსაყვანად საჭიროა მნიშვნელოვანი დაბანდება. აღნიშნული აქტივები აღრიცხულია ჯარათად და ჯამში მათი წონა შეადგენს დაახლოებით 1,500 ტონას.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები გადაკლასიფიცირებულია სხვა აქტივებად გამომდინარე იქიდან, რომ მენეჯმენტმა ვერ შეძლო მათი რეალიზაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში არასაკმარისად გაწერილი რეალიზაციის გეგმის გამო.

სს ზაშურის მიწის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

12. სხვა აქტივები (გაგრძელება)

სხვა აქტივების ღირებულება შეფასებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს ექსპერტების მიერ 971,847 ლარად.

13. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადანობა	31-დეკ-20	31-დეკ-19
სესხის მიმდინარე ნაწილი					
შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია	ლარი	15.00%	01.02.2014- 31.12.2021	1,612,227	1,330,760
შპს "ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი"	ლარი	15.00%	09.03.2007- 31.12.2021	1,203,277	1,133,913
სულ სესხის მიმდინარე ნაწილი				2,815,504	2,464,673
სესხის გრძელვადიანი ნაწილი					
სხვა არარეზიდენტი იურიდიული პირი	ლარი	15.00%	31.01.2008- 31.12.2022	141,624	134,555
სულ სესხის გრძელვადიანი ნაწილი				141,624	134,555
სულ				2,957,128	2,599,228

საპროცენტო ხარჯი 2020 წლის მდგომარეობით შეადგენს 225,434 ლარს (2019 წელი: 204,537 ლარი).

14. სააქციო კაპიტალი

სს „ზაშურის მიწის ტარა“-ს სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია დოლარში კომპანიის წესდების თანახმად. კომპანიის დამტკიცებული სააქციო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ისევე, როგორც 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება 2,741,949 ჩვეულებრივი აქციისგან. თითოეული აქციის ღირებულება შეადგენს 1 დოლარს. ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი საკუთარი აქციების პროპორციულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების მიხედვით. ასევე, ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ ხმის უფლება აქციონერთა კრებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სააქციო კაპიტალის დეტალები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

14. სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

აქციონერი	აქციების რაოდენობა	წილი სააქციო კაპიტალში	სააქციო კაპიტალის თანხა
Gardabani Holdings PP B.V.	1,995,001	72.7585%	2,809,782
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	633,211	23.0935%	891,822
სხვა აქციონერები (1,890 აქციონერი)	113,737	4.1480%	160,188
სულ	2,741,949	100%	3,861,792

15. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს-გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ეს და სხვა სამართლებრივი და ფისკალური ბარიერები ამჟამად საქართველოში მოქმედი კომპანიებისათვის პოტენციური ხელშეშლელი ფაქტორებია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან

31/12/2020

	ფინანსური აქტივის გაუფასურების ანარიცხი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გადასახდელი სესხის ძირი და პროცენტი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	57,885	2,800	2,815,504
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	141,624
სულ	57,885	2,800	2,957,128

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან - 2020 წელი	ფინანსური აქტივის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	რეალიზაცია	საპროცენტო ხარჯი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	57,885	29,831	218,365
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	7,069
სულ	57,885	29,831	225,434

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან

31/12/2019

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გადასახდელი სესხის ძირი და პროცენტი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	57,885	2,464,673
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	134,555
სულ	57,885	2,599,228

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან - 2019 წელი	საპროცენტო ხარჯი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	197,487
სხვა დაკავშირებული მხარეები	7,050
სულ	- 204,537

17. რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასების მესამე დონის კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითადად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

18. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პლუს წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სულ მიღებული სესხები (შენიშვნა 13)	2,957,128	2,599,228
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 8)	(3,892)	(3,098)
წმინდა სესხები	2,953,236	2,596,130
სულ კაპიტალი	(1,217,405)	852,767
კაპიტალის თანაფარდობა წმინდა სესხებთან	(41%)	33%

საბაზრო რისკი

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე არ აქვს უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და შესაბამისად, ვალუტის კურსის ცვლილების რისკი არ ეკისრება.

საკრედიტო რისკის მართვა

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. კომპანიაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად, წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფული და ფულის ექვივალენტები	3,892	2,924
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,990	58,510
სულ საკრედიტო რისკი	6,882	61,434

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ზოგად საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

18. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

საპროცენტო რისკი

კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულად ნაკადებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2020 წლის 31 დეკემბერი:

	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3,892	-	3,892
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,990	-	2,990
სულ ფინანსური აქტივები	6,882	-	6,882
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	373	-	373
მიღებული სესხები	2,815,504	141,624	2,957,128
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,815,877	141,624	2,957,501

სს „ხაშურის მინის ტარა“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

18. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ლიკვიდობის რისკის მართვა (გაგრძელება)****2019 წლის 31 დეკემბერი:**

	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3,098	-	3,098
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	58,510	-	58,510
სულ ფინანსური აქტივები	61,608	-	61,608
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	717	-	717
მიღებული სესხები	2,464,673	134,555	2,599,228
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,465,390	134,555	2,599,945

19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

სს „ხაშურის მინის ტარა“-ს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია უწყვეტი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს განჭვრეტად მომავალში, რაც გულისხმობს იმას, რომ შეძლებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას. ამგვარად განსჯისას კომპანიის მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება უწყვეტი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მართებულია, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- კომპანიის ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება მის აქტივებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ კომპანიას ვალდებულებების ძირითადი ნაწილი შედგება დაკავშირებული მხრეებისგან მიღებული სესხებისაგან.
- 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის წმინდა ზარალი ძირითადად გამოწვეულია აქტივების (მიწა, სხვა საინვესტიციო ქონება) გაუფასურების ხარჯით, რომელიც ერთჯერადი ხასიათისაა და არ არის კომპანიის საოპერაციო საქმიანობის გაუარესების შედეგი.

სს ზაშურის მინის ტარა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკავშირდება ეკონომიკურ სირთულეებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას ახალი კორონავირუსის პანდემიის (კოვიდ-19)-ის გავრცელებასთან დაკავშირებით. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. მენეჯმენტის შეფასებით, კოვიდ 19-ს და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის საქმიანობაზე. 2020 წლის განმავლობაში თვალსაჩინო იყო უძრავი ქონების ბაზარზე კოვიდ - 19 -ით გამოწვეული ნეგატიური შედეგების ზემოქმედება, რამაც განაპირობა კომპანიის მიწისა და ზოგიერთი აქტივის გაუფასურება.

ბალანსის თარიღის შემდგომ კომპანიას გაეზარდა შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-სგან მიღებული სესხის მოცულობა ჯამურად 46,266 ლარით.

2021 წლის 15 აპრილსა და 17 მაისს სს „ზაშურის მინის ტარას“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 23%-იანი წილი აუქციონზე იყო გატანილი, რომლის საწყისი ფასი ორივე შემთხვევაში 747,200 ლარი იყო. აღნიშნული აუქციონები არ შედგა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

* * *

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად

სს „ხაშურის მინის ტარას“ პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით უარი მოსაზრების გაცემაზე სს „ხაშურის მინის ტარას“ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 20 მაისს და გავცეთ შესაბამისი დასკვნა. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2021 წლის 20 მაისს წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გამოვთქვით უარი ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გაცემაზე და ეს საკითხი ყოვლისმომცველია, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ :

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 20 მაისი, 2021

თბილისი, საქართველო





მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

სს „ხაშურის მინის ტარამ“, (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფუნქციონირება დაიწყო 1966 წელს, როგორც რეგიონის უმსხვილესმა მინის ტარის მწარმოებელმა საწარმომ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1996 წელს საწარმო გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი 243855734. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ხაშური, იმერეთის გზატკეცილი #2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული აქტივების (მიწა, შენობა-ნაგებობები, სხვადასხვა მოწყობილობები) მოვლა პატრონობა მათი სარფიანი რეალიზაციისთვის.

2016 წლის 29 დეკემბერს „Gardabani Holdings PP B.V.“ გახდა სს „ხაშურის მინის ტარას“ 1,995,001 ჩვეულებრივი აქციის მესაკუთრე, რაც მთლიანი აქტივების 72,7585%-ს წარმოადგენს, ხოლო სახელმწიფოს საკუთრებაშია აქტივების 23,09%.

კომპანიის მთავარი აქციონერის („Gardabani Holdings PP B.V.“) საბოლოო მაკონტროლებელი ბენეფიციარი არის ბატონი დავით ბეჟუაშვილი.

კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები

კომპანია არ ფუნქციონირებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, აქტივები საკმაოდ დამძვლებულია და მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდების გარეშე შეუძლებელია მათი თავდაპირველი დანიშნულებით ფუნქციონირება. შესაბამისად, მენეჯმენტის მხრიდან ამ ეტაპზე განიხილება მის საკუთრებაში არსებული აქტივების (მიწა, შენობა-ნაგებობები, სხვადასხვა მოწყობილობები) მოვლა პატრონობა მათი სარფიანი რეალიზაციისთვის.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2020 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

კომპანიის ფილიალების მიმოხილვა

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

(თანხები გამოხატულია ლარში)

	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი	29,831	5,550
მთლიანი მოგება	(14,478)	-
წმინდა ზარალი	(2,070,172)	(540,118)

წმინდა ზარალი ძირითადად გამოწვეულია 2020 წელს საინვესტიციო ქონებისა და სხვა მიმდინარე აქტივების გაუფასურების ხარჯით, ასევე კომპანიის აქტივების შენარჩუნებასთან დაკავშირებით გაწეული დანახარჯებით.

რაც შეეხება არაფინანსურ მაჩვენებლებს, დიდი ყურადღება ექცევა აქტივების დაცვისა და შენარჩუნების საკითხებს.

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს ადგილი არ ჰქონია აქციების შეძენას კომპანიის მიერ.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.

საბაზრო რისკი

კომპანიას საქმიანობიდან გამომდინარე არ აქვს უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და შესაბამისად, ვალუტის კურსის ცვლილების რისკი არ ეკისრება.

საკრედიტო რისკების მართვა

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. კომპანიაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ზოგადი საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

საპროცენტო რისკი

კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია

დავით ბეჟაშვილი
დირექტორი

2021 წლის 20 მაისი
თბილისი, საქართველო

ნინო ფურცელაძე
მთავარი ბუღალტერი

2021 წლის 20 მაისი
თბილისი, საქართველო

საპროცენტო რისკი

კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდობის რისკის მართვა


ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.


დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია



დავით ბეჟაშვილი
დირექტორი

2021 წლის 20 მაისი
თბილისი, საქართველო



ნინო გურგენიძე
მთავარი ბუღალტერი

2021 წლის 20 მაისი
თბილისი, საქართველო